კვირა 18 აპრილი

ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მათრახი

№ 16

-სალამური

ყოველ-კვირეული იუმორ. ჟურნალი.

## ქრისტე აღსდგა!




**წიწილა. (ეჭვიანათ) შეიძლება გამოსვლა? სამხედრო წესები მოხსნეს?**

ლიტოგრაფია ს. ჭიხოვისა.

# მილოცვა.

(სააღდგომო)

ადგომა დღეა, მშობელო!
წითლად შეღებე მანდილი,
დღეს გისრულდება, დედილო,
შენი დიდი ხნის წადილი!

შენი ძე ბნელეთს ებარა,
ბაგეზე საცო-ნადები,
საშინლად იტანჯებოდა,
ვერ ეთქვა გულის ნადები.

დღეს კი... წყვდიადი გაიბნა,
ქრისტე რომ აღსდგა მკვდრეთითა:
გული გაეპო სატანას
მისგან ნასროლი მეხითა.

ჩაიქცენ ბჭენი ბნელეთის..
ტახტზე აბრძანდა უფალი!..
იხარე, დედავ, შენი ძე
დღეს მოვა თავისუფალი!

ქრისტე რომ აღსდგა მკვდრეთითა,
ეს ცისგან ნადასტურია...
შენი ძეც შენსკენ ისწრაფვის:
მას შენი ნახვა სწყურია.

მოგივა გამარჯვებული...
წითლათ შეღებე მანდილი,
კვლავ აფუსფუსდი კერასთან
და გაამზადე სადილი:

დღეს შვილი დაგიბრუნდება,
აქამდის ბნელეთს მდებარე,
გეტყვის: „დედიკოს ვახლ ავარ"!..
გულით, სიცოცხლით მგზნებარე.

წითლად დაჰღებე კვერცხები,
წითლად შეღებე მანდილი:
დღეს აგიხდება, დედილო,
შენი დიდიხნის წადილი!..

ნ. **ზომლეთელი.**

---

# ეშმაკის ინტერვიუ.

**„ლალატის" გმირებთან.**

— ქრისტე აღსდგა! ქრისტე აღსდგა! სახე გაბრწყინებული გუგუნებდა საბა ბერი, თითქო არც კი შეუტყვია, თუ რა დღე დააყენეს მის ქალბატონს „ქართველმა ლიტერატორებმა"-ო! მე ერთობ დარცხვენილი, ყურებამდე სახე გაწითლებული შევუერთდი მათ შეკრებულებას.

— რა მოგვიტანეთ ახალი ბ-ნო მიწელო? შემეკითხა ზეინაბი, რომლისთვისაც იქ ისევ თამარი დაურქმევიათ.

— ვერაფერი სასიამოვნო, დედოფალო.

— როგორ, გაამტყუნეს დედოფალი? აღელვებულის ხმით შემეკითხა ოთარი.

— დიახ, დიდებულო თავადო, დამნაშავეთ იცნეს.

— მათ დაჰკარგვიათ გრძნობა ცნობად კეთილისა და ბოროტისა! მშვიდათ წარმოსთქვა სალოსმა.

— ნუ გაუმტყუნებთ, სახიერო მამაო! ჩვენი საზოგადოება მეტის მეტათ დაშინებულ-დამთრთხალია, რას შვება თითონაც არ იცის.

-- არა, შვილო, ღმერთი მრავალ მოწყალეა, ყველაფერს შეუნდობს, ნუ გეშინიათ!

- რამ დააფრთხო, განა თათრები კიდევ ემუქრებიან? ჩაერია ლაპარაკში დათო.

— არა ბ-ნო, გადაგვარებისა ეშინიათ. თეატრის კულუარებში ასე ლაპარაკობდენ: „თუ არ გამტყუნდა დედოფალი, შეიძლება თანამედროვე ზეინაბ ქვეინაბებმა მიბაძონ მას და თათრის ხანებს ან რუსის გენერლებს საყვარლებათ დაუსხდენო"!

ამ მოსაზრებამ საერთო და ხანგრძლივი სიცილი გამოიწვია. თეატრში ყოფნის დროს არც კი მეგონა თუ მართლა ამდენათ სასაცილო იყო.

— ნუ თუ ასე მიბაძულებით ცხოვრობს თქვენი საზოგადოება? შემეკითხა დედოფალი.

— რასაკვირველია მიბაძულობით; აი თუნდ, ეს «გასამართლებაც» რუსეთიდან გადმოიღეს და ახლა ყველგან მოისპო ჩვენს გარდა.

— კარგი, მამტყუნებენ, მაგრამ რაში მდებენ ბრალსა? ნუ თუ ამაზე არავის ხმა არ ამოუღია?

მე ჩამეცინა.

— როგორ თუ არ ამოუღია! ჯერ იოს. მაჭავარიანმა თუ კი რამ მაგარი სიტყვა იყო, ყველაფერი გამოსძებნა და ბოლოს ვახტანგმა არა თუ მაგარი, აღარც რბილი დასტოვა. ვრცელზე უვრცელესად შეეხო იმ სულისკვეთებას, რომელი სულისკვეთებაც, რომ ჩაქსოვილია ხალხის სულისკვეთების...

— კი მაგრამ დანაშაული რაშიაო?

— იმაში, რომ 20 წელიწადი იცადეთ და არ განათავისუფლეთ ქვეყანა სულეიმან ხანისაგან.

— რეგვნები! ჩაილაპარაკა ანანიამ

— თუ ეგრე ადვილია ხალხის განთავისუფლება, მაშ... დაიწყო ორბელიანმა, მაგრამ ბესომ რაღაცა უჩურჩულა და გააწყვეტია.

— რატომაო ვითომ? შეელაპარაკა ის ბესოს ჩემ გასაგონათ.

— რატომ და მათში სამხედრო წესებია, ასეთ საქმეზე ლაპარაკი არ შეიძლება, სამსახურში არიან გაუგდებენ და გამორიცხავენ.

— კარგია თქვენმა მზემ! ჩვენ ბრძოლის დაგვიანებას გვიკიჟინებენ და თითონ კი ლაპარაკისაც ეშინიანთ...

— გაუშვი ერთი, დაანებე თავი, ცოდონი არიან, კვალად გააწყვეტინა ბესომ.

— დამცველებმა აღარაფერი თქვეს! აკი იმათიქებით ყურები გამოგვიჭედეთ? დაიწყო ოთარმა.

— სთქვეს კი არა მეტიცა ქნეს. როცა კიტა აბაშიძე ცხენის ფეხ-ქვეშ გაჭყლეტილ ბავშვის წივილსა სწერდა, თეატრში თითქმის აღარავინ არ იცინოდა. არისტიდიც კი მოიშველია სოკრატიც, მაგრამ აღარაფერმა უშველა რაიცა შეეხება რობაქიძეს, მან კითხვა ფილოსოფიის დარგში გადიტანა და აქედან შეუდგა გამიზნულ მიზნის მიღწევას. დაახასიათა თქვენი წარმავალი მე და წარუვალი მე, აგატარ-ჩამოგატარათ ყველა საფეხურები კიბისა, მაგრამ არც ამან უშველა ნაფიც მსაჯულთა შეგნებას.

— საზოგადოება როგორ შეხვდა ამ მსჯავრს?

— ტაშით.

— დამცველების სიტყვებს?

— ტაშით.

— ოთარ-ბეგის სიტყვას?

— ტაშით

— სჩანს ხელი ჰქავებიათ. იხუმრა ბესომ.

— ჩვენც დაგვსაჯეს, არა? შემეკითხენ ანანია და საბა ბერი.

— პირიქით, თქვენ დიდი ქება-დიდება შეგასხეს.

— თუ კი ჩვენი სჯერათ, მაშ ჩვენს მსჯავრს რატომ არ მიაქციეს ყურადღება? ჩვენ ხომ დავსდევით მსჯავრი თამარისა და ოთარის მოქმედებას!

— ოთარმა იქ თითონ წარმოსთქვა სიტყვა და თუ გაამტყუნეს ეს მისივე ბრალია.

— წარმოსთქვა კი არა, წაიკითხა, ჩაერია კვალად ბესო

— თუ მართალი გსურთ არც წაუკითხავს, არამედ წაილუღლუღა.

— რა ვუყოთ, ნუ გაუმტყუნებთ, სიმთვრალე ვის არ შეემთხვევა, დასძინა საბამ. — ქართველს მიდრეკილება აქვს ღვინისადმი, ის ქრისტეს სისხლია.

— ოთარის გასამართლებასაც პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა? შემეკითხა სეშბათი.

— რა თქმა უნდა! ,,ლიტერატორები‘‘ ცდილობდნენ თანამედროვე ოთარ-ბეგების სასაცილოთ აგდებას, ანუ ,,თავში ჩაკვრას‘‘ და...

— თითონ კი გახდენ სასაცილონი! გამაწყვეტინა ბესომ.

— სამაგიეროთ, როგორც გავიგე საქმეს მალე გამოაგვარებენ.

— როგორ?

— როგორ და ამ გადაწყვეტილებას განსაჩივრებას უპირებენ უმაღლეს სამსჯავროში.

— ბ-ნო, უმჯობესი იქნება სრულიად დაგვანებონ თავი, ჩვენ მაგათი არც ქება გვინდა და არც ძაგება.

— რა თქმა უნდა კარგი იქნება, მაგრამ ვის შეუძლია ეს ჩვეულება მოსპოს?! არა მგონია შესძლონ.

— ეგ უმაღლესი სამსჯავრო რომელიღაა? —

— ქუთაისის საზოგადოება გახლავთ... თქვენი დამცველების შემავალი მრევლია. ცხადია იქ ხალხი სხვაფრივ შეხედავს ამ საქმეს და თფილისელ ლიტერატორთა განაჩენს დაარღვევს. ამის შესახებ კიდევაც დასწერა ბ-ნმა რობაქიძემ საკასაციო ქაღალდი. ალბათ ახლო მომავალში მოხდება ეს განსჯაც და ვეცდები ისიც გაცნობოთ.

ამ სიტყვებთან ერთად გამოვემშვიდობე ყველას და დავეშვი დედა მიწისაკენ.

— ნუ დაგვივიწყებთო! მომაძახეს ზევიდან, მაგრამ ასე ხომ ყველგან იციან, სადაც კი სტუმრათ ფეხი მიგიცდება?

**ეშმაკი.**

---

# დღეს აღდგომაა!..

—

დღეს აღდგომაა!.. ჰმუსვა გასტყორცნე,
გადაპირმწვანდი ნასისხლო ველო!
დროშა აღმართე მშვენიერების!..
დღეს ქრისტე აღდგა, ცრემლთა მთოველო!..
ვაჟკაცთ მოუხმე, ფრთები აასხი,
ომის ყიჟინა შორს გადისროლე...
მეც აღმადგინე, შენი კვნესა მე,
გული დამიწვი და ამითრთოლე!..

—

დღეს აღდგომაა! სატრფოვ, მო, ყელი!..
მკერდი მოაჭვდე ჩემს გულს მთრთოლვარეს!..
ნუ, ნუ ჰოყმანობ!.. არ მოტყუვდები...
ერთად შევსცინოთ მიწას და, მთვარეს!..
უძლეველათ გამხდის შენს გვერდით ყოფნა,
სალკლდეთ მექცევა ნება და ღონე...
მაშ—ქრისტე აღდგა!.. ჭეშმარიტადთქო
პასუხათ მომე და მომეკონე!..

—

დღეს აღდგომაა!.. მონობის ბორკილს
გასამტვერებლათ დავავლოთ ხელი,
შევახანზაროთ ტახტი მონობის,
შუქით მოვფინოთ საკანი ბნელი!..
ერთგულთ მოუხმოთ, გულში ჩავეკრათ,
აზრით და გრძნობით ერთად შევდუღდეთ...
დღეს აღდგომაა! ჩვენც აღვდგეთ ძმებო!
რთად ვიბრძოლოთ და ერთად ვქუხდეთ!..

**ვ. მალაქიაშვილი.**





ერთ ყსაბურთო საზოგადოებაში მოხდა ზოილ-მოქმედება: ჩამოახრჩვეს ძაღლი.

ეს ამბავი მყისვე მოხსენდა პოლიციელ ძაღლს. ის მაშინვე ყულეფონს მივარდა

პოლიციელი ძაღლი საქმეზეთ გაემართა. მის დანახვაზე ხალხი ფრთხებოდა!

# საეშმაკო მისალოცები.

ახირებული ზნე კია
ეგ სააღდგომო მილოცვა!!.
რავქნა, ვერ ვპოვე იქნება?
ვერც რიფმა, ველარც კილოცა..
იქნებ დავხარჯე სიტყვები
სატირალ-სასაცილოცა,
ეროვნულ მუზეუმშიგან
ველარ შევნიშნე სპ ლოცა,
ვერცარა ზუბრთა, ტყიურთა,
პატივცემული ,,რილოცა'',
ვერც სულიერნი მოძღვარნი.
ეშმაკის სასადილოცა,
ვერც ჯაშუშ პროვოკატორნი
ხოლერით სასიკვდილოცა..
თქვენ კი იძახით დავსწერო
მე სააღდგომო მილოცვა,
რავქნა, ხომ გესმათ ნათქვამი?
არ შემიძლია იქნებ, ვა!!

—

მაშ კარგი, რაკი ასეა
სხვა არა მრჩება საშველი,
გთხოვთ რიგ-რიგობით გვიბოძოთ
თქვენი ძვირფასი სახელი.

### ქართული თეატრი.

ქართულს თეატრს ამბობენ
სასახლის ქუჩის პირათა,
ქართული წარმოდგენები
იმართება ხშირათა,
მაგრამ ხალხი ქართველი
შეიპვრიტავსო ძვირათა,
(ნეტავი რისთვის შესძულდა
მას ეგრე გასაკვირათა!)
დეფიციტებში მარჯვეა
თავად-აზნაურთ ჭირათა*).

### წერა-კითხვის საზოგადოება

,,უწვრთნელი ძაღლი გერჩიოს,
უწვრთნელი შვილის ყოლასო'',
რისთვის არ ეპატრონებით
იმ საგურამოს სკოლასო?
სარდაფში ჩაგიტანიათ
ნიავი არსით ქროლავსო,
წინ, დერეფანში ლაფი დგას,
სიცივით ხალხი თრთოლავსო,

*) ამბობენ: მომავლისათვის
ხარჯი რომ გავამართლოთო,
უნდა ვაკურთხოთ თეატრი
ჩვენ «ქართულ სასამართლოთო».
ეშმაკი.

ერთი ბუხარი უდგია,
ისიც საშინლათ ხრჩოლავსო
(არ დაგტოვებენ, იცოდეთ,
კრებაზე ჩაუქოლავსო!)

### ქართველი ქალები.

დასაბამითგან ქვეყნისა
ასეთი იყო თქმულობა:
,,რომ ქართველ ქალთა სიტურფეს
არ აქვსო განსაზღვრულობა''.
დღეს კი? რასა გავს მითხარით
ეგ თქვენი მოხაზულობა,
მრავალ გვარ სალებავითა
სახეთა შეკმაზულობა?
ზედ თაბახისა წამორქმა
ყვავილთა წამორგულობა?
არ შეეშინოს, ვაჟკაცსა
ჰხამს დიდი გაბედულობა.

### გლეხკაცებო.

არ ვიცი რა ვთქვა ისეთი,
რაც შენ გულს მოეწონება,
ერთობის ხანა უთუოდ,
ხშირ-ხშირათ მოგეგონება,
როს განიწმინდა მიდამო,
ჩაგრულმა მიეცა ფონება,
არვის გაჰქონდა სახლიდან
მისი მცირედი ქონება,
დღეს კი . ეგ შენი ცრემლები
შავ ზღვასა შეეწონება. .
ძველი დაბრუნდა ადათი,
ისევ ფული ღირს ცხონება.

### ქართველი მემამულეები.

ოჰ ბურჯნო, ივერისანო,
როგორც დღეს, ისე ძველადა,
მარტო თქვენ ყავდით სამშობლოს,
მოამაგეთ და მცველადა.
წელზე გეკიდათ ლესკური.
ხელთ გეპყრათ ღვინით ხელადა,
(როგორაც მაშინ, დღესაცა
ზემოთ ბრძანდებით თხელადა)
განგებას მოუვლენიხართ
პირუტყვთა დამტანჯველადა,
(თუ მცირე ბალახს მოსწიწკნის
თქვენ ფართე მინდორ ველადა.

### ქართველი სამღვდელოება.

მაცხოვრის მოადგილეა
თქვენი ძვირფასი წოდება...
(მიტომაც ხშირათ მოგესმისთ
ქვრივ ობოლ ოხერთ გოდება,

როდესაც დრამა ფულისა
გიყვართ თათების მოდება)
ტანჯვით შედიან სამოთხეს.
თქვენც არვინ შეგეცოდება
გაქივრებულთა ტირილით
გული არ დაგეკოდება.

### ქართველი ინტელიგენცია

ახირებული ხალხია
სულისა ჩემის ლხენამან!
იმათი უსაქმურობა
ვერცა გამოსთქვას ენამან,
ზოგი მოგვტაცოს ზეცისკენ
ფაზრო ალმაფრენამან,
ზოგნი ჩაგვინთქას ქვესკნელად
წარსულზე ოხვრა ქშენამან...
ვერცარა შეჰქმნა სავარგი,
ვერცარა დაამშვენა მან,
ან კი რა შეჰქმნას ნაყოფი
სიქარაფშუტის დენამან
და ისიც ეგზომ სიჭარბით
ნასროლმა, ამოდენამან?

### მოსწავლე ახალგაზრდობა

სასწავლათ იყვენ მეგონა,
იქ, თურმე, ტიკებს ბერავენ,
დიოგანალის შარვლებსა
აფიცრულ შეიკერავენ,
ჯგუფ ჯგუფათ, ანუ ცალ ცალკე
აქა იქ ფანჯრებს ზვერავენ,
სათოხარიკო ნაბიჯით
ბალისა ქუჩებს სერავენ.
არწივიანსა ფოლაქებს
აგურით დაიფერავენ,
კუპლეტებს საშაიროსა
წიგნაკში ჩაიწერავენ,
და ქიანურზე, ტკბილი ხმით
საამოთ დაამღერავენ.

### მასწავლებლები.

ღმერთმა გიკურთხოთ მარჯვენა,
კარგს საქმეს ემსახურებით:
ათრევთ და ათრევთ ყმაწვილებს,
ზოგს თმებით, ზუგსაც ყურებით,
ზოგს შინ ისტუმრებთ ანატირს
ზურგითა შენახურებით ..
ვინ თავს იწამლავს, ვინ იხრჩობს...
ვსტკბებით იმათი ყურებით.

### ქართველი „ფილოსოფოსი“.

ვერა იტვირთოს სიმძიმე
თქვენი თვით მთათა მწვერვალმან,
ვერა შეგმატოს სინათლე
მნათობმა ციდან მმზერალმან,
ვერ ჩაგითრიოს ,,რომანში“
ივერიისა მხევალმან,
ვერ შეგაშინოს ვერც მუშტმან
გიორგის მონადერალმან
ყოველსა სძლიოს ზე-არსმა
,,ფილოსოფიურ“ მწერალმან
მქუხარე არღუმენტებით
უზომოთ განაბერალმან.

### ქართველ „პოეტებს“.

პეპელნო გაზაფხულისა,
ჰაერში მოფარფატენო,
ოცნების ფრთებზე მავალნო
თვით წყალბადზედაც მჩატენო!
ეგზომ უწყალოდ რათ მტანჯავ
თვალთაგან ცრემლს რათ გადენო
რა უსაშველოთ იმრავლე,
რა ბარტყნი დაგეზარდენო!
რა იქნებოდა ხელობათ
სხვა საქმე გაგეხადენო?

### ქართველი დრამატურგები.

ლიტერატურა ქართული
რა დღეს მოესწრა ამასა;
სხვა და სხვა ჯურის მწერალნი
კვახივით ჰყრიან დრამა!
ზოგ-ზოგნი წლობით ცოხნიან,
ზოგნი კი ერთსა წამასა!
ეჯიბრებიან ერთმანეთს:
მამა შვილს, შვილი მამასა,
მკითხველი მოსთქვამს—ვაიშარს,
რა დღეს მოვესწარ ამასა,
არავინ ეტრფის კვლავინდურ
ჯამით ლობიოს ჭამასა,
ამ საქმის მოხელეებ ც
სწერენ და სწერენ დრამასა.

### ქართული პრესა.

კაცმა შეხედოს რასა გავს
ეგ თქვენი შინაარსები?
ათასჯერ შენაკრეჭავი,
წვერ-ულვაშ შენაპარსები,
არც ,,კომედია“, არც ,,დრამა“,
აღარც უბრალო ,,ფარსები“,
რათ არ იკითხავთ როდისმე:
რისთვის ხართ დანაარსები?
აზრსა და ენას უფრთხილდით
სიტყვას მიეცით ფასები,
თორემ აილონ თაგვებმა
თქვენი სალაროს კასები.

ეშმაკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ორი ეშმაკი.

——

**პირველი.** ქრისტე აღსდგა!
**მეორე.** რა სთქვი შენა?
**პირვ.** ოი, ღმერთმა
შეგაჩვენა,
რამ წაგართვა
ყურთა სმენა?
ქრისტე აღსდგა!
**მეორე.** რაო? რაო?
**პირვ.** შე ოჴერო, ჩემო თავო!
მთლად დაყრუვდი?
გამოშტერდი?
რა გიჟივით მომაჩერდი?
ქრისტე აღსდგა!
**მეორე** კარგი ერთი!!!
ნუ მატყუებ, თუ გწამს ღმერთი?.
ალბათ ვინმემ
მოგატყუა,
თუ შეგწამა მოკლე ჭკუა!
ის რომ მართლა ამდგარიყო,
ვოსტორგოვი
აქ არ იყო?
ტყუილათ სჭამს
იმ „ბნელ ფულებს“
„კავშირისგან“ ბოძებულებს?
**პირვ.** ის არ არის
ამ ქვეყნის პირს,
რევიზიას ახდენს ციმბირს.

**მეორე.** კარგი, მაგრამ
მისნი ძენი,
ილიოდორ, გერმოგენი
განა ჯვარზე
არ აცვამდენ
და მით ნათელს შეისხამდენ?
**პირვ.** კი, მაგრამა
დიდმარხვაში
უნდა ისხდენ ხომ საყდარში?
**მეორე.** აი კიდევ
ხათაბალა!
ვთქვათ ბერებსაც არ ეცალა,
„ჭეშმარიტთა
რუსთა საბჭოს“
რაღა საქმე ჰქონდა ამ დროს?
განა ის ვერ
შეიპყრობდა
და სიცოცხლეს გაუქრობდა?
**პირვ.** შენგან მიკვირს
ეგ მსჯელობა
სააღდგომო მათ ხელობა,
რა სჩვევიათ,
რა აქვთ წესათ,
თითონ იცი უკეთესათ.
დაგავიწყდა,
რომ აღდგომას
„საპოგრომო“ მძიმე შრომას
ეწევიან
ჩუმათ, ბნელათ
ებრაელთა შესაჭმელათ?
**მეორე.** ვსთქვათ ისინი
იქ იღვწოდენ
ჯაშუშები რას შვებოდენ?
ხომ იმათი
არის ვალი
„მრამოლნიკებს“ მისცენ თვალი?
მოიმწყვდიონ
ბადე ქსელში,
და მთავრობას მისცენ ხელში?
**პირვ.** მართალია
რაც თქვი, მარა
საქმის გაგეგება არა.
ჯაშუშები ხომ ამ დღისთვის
მთვრალი ჰყრია ყველა მისთვის?
**მეორე.** პოლიციაც
ხომ კი იჭერს
მქადაგებლებს, სწორედ იმფერს?
და რომ მართლა
ამდგარიყო,
მსხვერპლი უნდა გამხდარიყო
პოლიციის

მზრუნველობის,
მომხრე ერთობის და ძმობის.

**პირველი**. ეჰ, რა ვიცი,
ყველა ასე
შემხვდა გზაში მობაასე.

**ზვარაკი**



# სიტყვა

**წაკითხული გალ. გუნიას (ოთარ-ბეგი) მიერ 9 აპრილს ზეინაბის გასამართლებაზე.**

**მსაჯული**. სიტყვა ეკუთვნის ბრალდებულ ოთარ-ბეგს. გაქვთ თუ არა სათქმელი რამ სამსჯავროს წინაშე, თავადო ოთარ?

**ოთარ-ბეგი** (ვალ. გუნია). ბ. ბ...ბ. ატონნო მსაჯულნო და ნაფიცნო ბრრ...რ. . მოსამართლენო!

მე დამნაშავე ვ...ვ...ვარ სამშობლოს წინაშე!.. ეს მოხხხ... და იმ საშშ...შინელ დროს..., რრრო. ცა საქართველოში მძვინვარებდა ს ..ს.. სულ...სოციალ...სულეიმან... დემო...კრრრატია! მარრთალია, მე გადავუდექ ხა...ხა . ლხს . მე მუსრს ვავლებდი მას სხვი. . მე ვაწიო...ვაწი.. ოკებდი. . მე ვსს... ცემდი ნიშადურს... მარრრთა...ლია ჩე...ჩე...ჩემი სახელი უფრო საზზი...ზღარი იყო ვიდრრე... ათასი მან... სულ.ვ.ი მან ათისა ჯარი... მა .. მაინც... მაპატიევს... იმ სა...შ..ინელ დროს მე თი...თით საჩვენებელი... შეიქნა ჩემი სახელი. მე პირ...ველი გა...დაველ მოლა..ლა.ლატეთა...და ხუ...ლიგან ..თა რაზმში... მე... მე... მე .. დავივიწყე ყველაფერი... გარრრ...და ლვინისა... სუ...ლე...იმან... სოც .. იალ... დემოკრატია .. მე მოსვ. .ე . ნებას... არ მაძლევდა... გა...მმმმო .. მეცა ნიშ . ნად ..ური .. მოდ.. ჩემს. . გუ...გულ ..ში მგზნე...ბარე... დრამა... დულ... და.,. მე მო...ნა .. ალ...ლ...ლახისა... მონა...პა...რრრსავი...

ბატტტ...ონო მოსსსამართ...ლენო. მე ვულღლალატე... ჩემს სინ...დისს... მე ჩავიდინე ათთა... სი... სი...ყალბე. დამ...სა...ჯეთ... ჯვარ...ს მაც...ვით, სო... სუ... სოციალ... სულეიმანი იყო... მი... ზზზ.. ზ... ჩემი... გგა...თახ... სი...რებისა... მე მოვითხოვ დდდამ....საჯოთ, სამაგალითოდ დამსსსაჯოთ, მე .. საზიზღარი... და მო...ღალატე...

—

ნაფიც მსაჯულთა სამსჯავრომ ბ-ნი ოთარ-ბეგი დამნაშავეთ იცნო, თეატრში, სასამართლოს წინაშე არა ფხიზელ მდგომარეობაში გამოცხადებისათვის და მიუსაჯა მას მომავალ სეზონში ქართული თეატრის სცენაზე თამაში.

**დამსწრე**



# მიბაძვა

(იგავისებური*)

ერთ მცირე ფრთოსანს, —
ლობემძვრალასა,
(ანუ ჰინჰრაქას, თუ ჰინჰალასა)
ბულბულისათვის
მოეკრა ყური
და მყის აღძროდა უზომო შური!..
ხშირათ სჩვევია სუსტს დიდგულობა!!!
ჩვენს ჰინჰრაქასაც გაბულბულება
დაუძლეველათ მოეხალისა...
(იმედი ჰქონდა, ალბათ, ძალისა!)
—,,ნაცრის ფერი მაქვს,
როგორაც მასო,
ვილა გაარჩევს
ჩვინს კილო-ხმასო'
ფიქრობდა გულში ის უბადრუკი
ფიქრის უნარი შესწევდა თუკი.
დაიფრთხო ძილი... შუაღამისას
შეჩვეულ ბინას
მოშორდა მისას ..
მსწრაფლ გაექანა პაწაწკინტელა,
(თურმე მას ცოდნაც
ჰქონდა იმტელა,)
და ბუჩქს ვარდისას ჩამოებარგა!..
(ბულბულისათვის
სხვა ხომ არ ვარგა?!)
უყნოსა ყვავილს...
მან გააბრუა! .

*) სულითა და გულით ჭუძლვნი ჩვენი დროების ზოგიერთ „მარგალიტის" მთესველ მგოსნებს.

**უზმაკი.**

(ან-კი ვინ მისცა ჭინჭრაქას ჭკუა,
რომ ეშხს ვარდისას
არ დაემონოს,
ოდეს ბულბული თავი ეგონოს?)
შეუდგა საქმეს
გულმოდგინებით,
რომ საოცნებო ჰანგით და ხმებით
კეკლუცთა სმენა
დაიმორჩილოს,
რომ თვით ბულბულიც
ვერ შეეცილოს...
მკერდზე მიეყრდნო კოკორს ვარდისას,
ჯერ მზეთ უნახავს,
ამშლელს დარდისას,
მინაბა თვალნი
და მიიბნიდა ..
(შეყვარებულსა არსებას ჰქმნიდა!)
ყელი ზეცისკენ წამოიღერა,
ჩიჩახვი მცირედ წამოიბერა,
ალალო კრძალვით
და ნაზათ პირი,
რომ საოცნებო და გასაკვირი
მოჰფინოს არეს
საგალობელი!!!
დაათროს ტურფად შემკული ველი.
მაგრამ მიბნედილს და თვალ მინაბულს,
გაბულბულების ეშხით დადაგულს,
ამოხდა მხოლოდ
ხმა შესაბრალი!
მაგრამ არ გატყდა
მაინც საწყალი
და საარაკო ტანჯვით, წამებით,
კილოსთან მეტი გათამამებით,
ათასჯერ სცადა განმეორება,
მაგრამ წაუხდა ბერვა, ზმორება.
მუნ, ახლოს, თურმე ჰოტს ედგა ბინა,
და ეს ,,ჰანგები''
რა მოისმინა,
მას შეეცოდა საბრალო სირი
,,ხელოვნებისთვის'' თავ განაწირი
და დაყვავებით,
მორიდებულათ
უთხრა ჭინჭრაქას სიმართლე სრულად:
— შე საცოდავო და შავდღიანო,
ბულბულის ჰანგი, სასევდიანო,
რომ შენს უბადრუკს ბაგეს აღმოხდეს,
ხომ სასწაული რამ უნდა მოხდეს?
თორემ შენ სად გაქვს
ან ხმა, ან სმენა,
რომ საიმისო შეგეძლოს ლხენა?
არა ძვირფასო... ჯერ მაგალითი,
რომ ჭინჭრაქასა თვალ-მარგალიტი
შეექმნას სხვისი მიბაძულობით,
არსად მომხდარა ხალხთა თქმულობით.
წადი, მოშორდი,
დაეხსენ ვარდსა,
ის ვერ განკურნავს შენს გულის დარდსა
უცხო ჰანგების დაეხსენ მღერას,
ბევრიც იწვალო
გახდები ვერას.
განა ვერ ხედავ, ოჰ ღმერთო, ღმერთო!
შენა და ბულბულს
რა გაქვთ საერთო?
— როგორ თუ რა გვაქვს?
მაშ ფერი? ფერი?
— სისულელეა, სხვა არაფერი...

---

ჭინჭრაქა მიხვდა და დაიჯერა, —
რომ მას არ ძალუძს
ბულბულებრ მღერა...
ის გაეცალა ვარდისა ბუჩქნარს...
(ან კი ვინ შესძლებს თავისა უქნარს)
ღმერთმა ქნას სხვებსაც
ეს გზა ენახოს,
იგავში მისი თავიც ენახოს
და „მარგალიტათ“ მას არ სახავდეს,
მიბაძულობით რასაც ჩმახავდეს.

**ეშმაკი.**

## შიფროვანი დეპეშა.

კოპიო „ზაკავკაზიეს“.

**მოლითი.** (იმერეთი) თავადმა გიორგი ამილახვარმა მოლითის კანცელარიაზე შეაგროვა ორი სოფლის, დეისის და ჩროილის შინაური საქონელი. ულლათ კამეჩებს ყიდის 30 მან. ცხვარს, ძროხებს ხარებს და ცხენებს ამ სააღდგომოთ უგზავნის მის თფილისელ ვექილს კნ. ამირაჯიბს, ამილახვარს ამილახვრობას[1]) უსრულებს ბოქაული კ. ნემსაძე. მთელ ორ სოფელში მოთქმა ტირილია—სამაგიეროთ გიორგ—კოლიას რაზმში სიცილ-ქეფია.

---

[1]) ამილახვარი-მეჯინიბეთ უხუცესია, რაიცა შესაფერი ხელობაა კ. ნემსაძისთვის.

**ვარადო.**



ეროვნული ბიბლიოთეკა



# მესტვირული

—

ხარებს წავხსენი ბაწარი,
დაქანცულს, მიმდგარს სულზედა,
ძმარით მოვბანე კისერი,
ქონი წავუსვი წყლულზედა,
— ოხ მეგობრებო, ვუთხარი,
დანაყრდით თქვენსა ლხენასა,
რომ ნაალდგომევს უფრო მხნეთ
განვაგრძობთ ოფლის დენასა.
გამოვტრიალდი წალმისკენ,
ვნახე რა სანახავია:
ბუნება ლხინობს, ქორწინობს,
გამოუცვლია ტყავია,
სულყველა მირთულ-მორთულა
თითქოს ბედს მორიგებიან,
ცხვრები, მგლები და დათვები
ერთმანეთს შერიგებიან.
მზე მითამაშობს, მისცურავს,
მიაპობს ლაჟვარდ კამარ ას;
„იხარეთ, ქრისტე აღსდგა,“
ნიავმა ამცნო, ქვეყანას.
ხალხიც ქუხს: „ჭეშმარიტათო“
მთებიც აძლევენ ხმეპსაო;
მეც გადავწყვიტე ვესტუმრო
მეგობრებსაც და მტრებსაო.
ყველა თაღლითობს, სტვირო ჩვენც
ხომ არ ვართ სულიწმინდაო,
ყოვლისა უწინარესათ
მილოცვა ქურუმთ უნდიათ:
თქვენ გიხაროდესთ აღდგომა
ძველი დრო მოგიბრუნდათო,
კუჭისა მრწამსი ისეა,
როგორაც უწინ გსურდათო
მარცხენით ჯვარი გიპყრიათ,
მარჯვენით ბასრი დანაო,
აჭყავებთ ზვარაკ ცხოვართა
თავით გინ კუდიდგანაო,
აღდგომა არის, იხარეთ
მემამულენო თქვენცაო,
ასწიეთ ღალა, დროი გაქვთ
მადლით დაგყურებთ ზეცაო!
თქვენც, ავაზაკნო, ჰკათ ბუკსა
თქვენგალ გვემული აღსდგაო
ძკარით, ყვრიმალსა მახვილი,
ძველებურ ხომ გაქვთ მადაო.
შენც გაიხარე, იუდავ,
ძლიერო ამა ქვეყნისა,
დღესასწაული თქვენია
მადლიერი ხართ ბედისა.
თქვენც იპირფერეთ, მაშკრალნო,
არ გაიტეხოთ გულია,
სიმართლის ღმერთი ჯერ ხომა
შავ ლოდს ქვეშ დამარხულია.
ჩვენც კი შევსწყვიტოთ, ქამანჩავ,
სჯობს სწორე გზაზე დადგომა:
იმ დროს ვუცადოთ, როდესაც
დადგება ჩვენი აღდგომა.

**შხანკოლა.**



# კორიბუ.

(თარგმანი).

ჩემს სარედაქტორო ოთახში ფერ-მკრთალი ახალგაზრდა შემოვიდა. ის კარებთანვე შეჩერდა და მთელი ტანით აკანკალებულმა შეშინებული თვალები დამაცქერა.

— რედაქტორი თქვენა ბრძანდებით?

— დიახ, მე გახლავარ.

— არა, მართალი მითხარით, თუ ღმერთი გწამთ?

— პატიოსნებას გეფიცებით!

იმან უფრო დამაშტერა დამფრთხალი და შეშინებული თვალები.

— რა გნებავთ რედაქტორთან?

— არა, ხუმრობას გარეშე, მართლა თქვენა ხართ რედაქტორი?

— გარწმუნებთ, რომ სრულს სიმართლეს მოგახსენებ. რა გნებავთ ჩვენგან? იქნებ ხელნაწერი მოგვიტანეთ?

— არ ჩადგეთ ჩემს ცოდვაში,—წარმოსთქვა სტუმარმა,—თუ სადმე გაამხილეთ იცოდეთ, დავიღუპები!

იმან ჩაიყო ჯიბეში ხელი, ამოიღო რაღაც ქაღალდის ნაგლეჯი, დააგდო საწერ მაგიდაზე და აჩქარებით გაეშურა კარებისაკენ, აშკარა განზრახვით: როგორმე ხელიდან გამსხლეტოდა.

მე ხელი ვსტაცე, კარები გამოვუკეტე და მრისხანეთ შევძახე:

— ვერ მოგართვით, ძვირფასო ჩემო! ეგრე ადვილათ ხელიდან ვერ გაგვისხლტებით, ვინ იცის აქ რა ქაღალდი მოგვიგდეთ!

ახალგაზრდა ყმაწვილს შიშით მუხლები მოეკვეცა, მოწყვეტილივით დაეშო სავარძელზე და მდუღარე ცრემლი გადმოსკდა

მე გავხსენი მაგიდაზე ნასროლი ქაღალდი და აი რა ახირებული ნაწარმოები აღმოჩნდა შიგ.

**უწესოებანი აფრიკაში.**

,,ხმები იმის შესახებ, რომ მდინარე კონგოს დასავლეთ ნაპირებზე ყველაფერი წესიერათ არ მიმდინარეობს, რომ ადგილობრივი თავადები ბოროტათ ხმარობენ მინიჭებულ უფლებებს და ათასგვარ ძალადობას ახდენენ ქვეშევრდომებზე, სრულიადაც არ არის საფუძველს მოკლებული. აი თუნდ, ამ რამოდენიმე ხნის წინათ, დილიბომის ოლქში (სოფელ ხურმა-ხურმაში) მოხდა ამბავი რომელიც ნათლათ აჩვენებს, თუ რა შორს არიან მხურვალე კონგოს მოქალაქენი ევროპიულ კანონიერებისა და წესრიგისაგან''.

,,ბელადი ბერი ბერის ტომისა, კორიბუ, სახელმწიფო მოღვაწეთა სხდომაზე იყო, როდესაც აცნობეს, რომ მისი დაახლოვებული მეომარი მუზაკი, არ შეუშვეს კორრალში, სადაც დროს ატარებდენ კორიბუს სხვა ქვეშევრდომნი. საქმის განუსჯელათ წამოიჭრა თავადი კორიბუ, დაეცა კორრალს, განაძევა ყველა იქ მყოფნი და თვით კორრალის კარები დაწვა ალლოის წებოიანი წვენით. შემდეგ გამოირკვა, რომ დამნაშავე იყო კორიბუს მხედარი მუზაკი, მაგრამ საქმე ამაში არ არის! საქმე იმაშია, რომ როდემდის უნდა იტანჯონ მზისაგან გარუჯულნი მოქალაქენი კონგოისა თავადი კორიბუს ასეთი აღვირ ახსნილი და თავდაუჭერელი საქციელით?

აი რას უნდა მიაქციოს ნორვეგიამ განსაკუთრებული ყურადღება!''

მე წავიკითხე ეს ნაწერი, მხრები ავიჩეჩე და მივმართე ჩემს, ცრემლით განბანილ სტუმარს:

— თქვენა გნებავთ, რომ ეს დავბეჭდოთ?

— დიახ.. დარცხვენით წარმოსთქვა მან.

— ასეთ უაზრობას ჩვენ ვერასოდეს ვერ დავუთმობთ ადგილს. აბა რომელი ჩვენი მკითხველისათვის არის საყურადღებო, რას სჩადის იქ კონგოს ნაპირებზე ვიღაც თავადი კორიბუ?

ის წამოდგა, სიფრთხილით ხელი მომკიდა, თავისი სახე ჩემსას მოუახლოვა და მკვეთრი ჩურჩულით ჩამილაპარაკა:

— მაშ, რაკი ეგრეა, მე გაგიმხელთ ყველაფერს! ეს წერილი შეეხება ოდესელ გენერალ ტოლმაჩევს და მის მიერ ,,კეთილშობილთა საკრებულოს'' დახურვას.

— ოჰ რა გაუგებრობა, რა უაზრობაა! თუ კი ეგრეა, მაშ რაღა საჭირო იყო სადღაც კონგოში ამბის გადატანა რაღაც კორრალები და ალოეს წებოიანი წვენი? ავწერდი პირდაპირ ოდესის ამბავს, ტოლმაჩევის უწესო მოქმედებას! მერმე თქვენ აქ მოჰყორეთ ისეთი ამბები, რომელიც სრულიადაც არ შეესაბამება სინამდვილეს. თქვენი აზრით ტოლმაჩევი იყო რაღაც ,,სახელმწიფო მოღვაწეთა სხდომაზე'', ნამდვილათ კი ის გამოცხადდა ნაშუადღევის სამ საათზე კაფე-შანტანიდან, დახურა კეთილშობილთა საკრებულო და რამოდენიმე ხნით დაატყვევა პოლკოვნიკი, რომლის უფლებაც მას არა ჰქონდა. რა საჭირო იყო აქ ,,სახელმწიფო მოღვაწეთა საბჭო''?

— ჩემი აზრით ეგრე უფრო უშიშარია..

— ესღა რა უცხო მოგონებაა: დაწვა კარები ალოეს წებოიანი წვენით? განა არ ითქმოდა საკრებულოს ბეჭედი დაასვაო?

— კი, მაგრამ, რომ მიმხვდარიყვნენ ეს ტოლმაჩოვზე არის დაწერილიო?

— გთხოვთ არ მიწყინოთ, მაგრამ აქ თქვენა გაქვთ ერთი ყოვლად უაზრო და გაუგებარი წინადადება: ,,აი რას უნდა მიაქციოს ნორვეგიამ განსაკუთრებული ყურადღებაო''! სთქვით სინდისის წინაშე: რა შუაშია აქ ნორვეგია?

ახალგაზრდა კაცმა ერთი ჩაახველა:

— არაფერში, მაგრამ უამისოთ ხომ მიხვდებოდენ ეს ტოლმაჩევზეა ნათქვამიაო? ხომ დავიღუპებოდით? ახლა თუნდაც იფიქრონ, რას დაგვაკლებენ. ხე, ხე, ხეეე!

თვალებზე ცრემლი მომადგა.

— ვაი ჩვენს უბედურ დღეს, მწარეთ ჩავიქვითინე მე, გრძნობიერათ მოვხვიე ხელი ჩემს მოსაუბრეს და გულში ჩავიკარ.

დიდხანს ვსტიროდით ჩვენ ეგრე.

შემოვიდენ ჩვენი თანამშრომელნი, გაიგეს ამბავი, გადაგვეხვიენ და აქვითინდენ:

— საბრალო რედაქტორი, უბედური ავტორი, ტანჯულნი თანამშრომელნი.

მოვიდა მოიჯარადრე, ხაზინადარი, პატარა დამტარებელი ბიჭი და ყველანი მწარე ცრემლით დაიმდუღრენ.

ეგრე ვსტიროდით კარგა ხანს ჩვენ ყველანი.

—

თქვენ, ეი, დეპუტატებო! როდის შეიბრალებთ ჩვენს ცრემლებს, როდის მოხედავთ იმათ, რომელნიც სტირიან...

ავე.



## სააღდგომო საჩივარი საჩხერელებზე.

—

აქ მეტად გახშირებულა
ყომარბაზ-კარტ-ნარდოსნები,
თურმე ერთ ჯგუფათ შემდგარან
სულ მარტო კაკარდოსნები,
ხალხის ჭირ-ვარმის გზირები
ცათამდის პატიოსნები...
ყველას თან ახლავს მარტოდენ
თავ-თავის მანდილოსნები,
თავ თავიანთი ქრმებისა
ერთ-სულ და ერთ-ხორცოსნები,
ამ მაცდურობის კრებებზე
მუდმივი დამსწრე ხმოსნები.
დღე ღამეს მისდევს, ღამე დღეს,
საათი საათს, წამი წამს...
ესენი კარტის თამაშში
არ განარჩევენ დროს და ჟამს;
გინდ კარზე ადგესთ ხოლერა,
ან საქმე რამე საჩქარო,
თუნდ სტიქიური მოვლენით
მთლად იქცეოდეს სამყარო,
მაშინაც ჰკითხვენ ერთმანეთს:
,,ამალამ ფრაპზე სად ხარო?"
მაინც იკითხვენ ამ საგანს,
პირში თუნდ ჯოხი ჩასთხარო.
ერთი მეორის ორგული,
პირში სიყვარული ფლიდია,
ქვეყნისა ავან-ჩავანი
ყველას ფეხებზე ჰკიდია,
მანდილოსნები ამბობენ:
„რა გავაკეთო ქალმაო,
თავისუფლება გვიბოძა
ზე გარდმო თვით უფალმაო,
გადააშენოს სიყვარული
იმის მადლმა და ძალმაო,
რა თავში ვიხლით, რას დავდევთ
თუნდა წალეკოს წყალმაო?"
ეს არის მათი რწმუნება,
აჰა მათი მსჯელობა,
ცხადათ ემჩნევათ სიყვარულს
ზემორე ცარიელობა.
საერთოდ ჰგმობენ სხვა საქმეს,
სწამთ მხოლოდ კარტის ხელოვნება,
იქ რომ ეწვიოთ, ბატონო,
მგონი არ იქნეს ურიგო,
თქვენი ტლაშუნა მათრახი
ყველას რომ ჩამოურიგო,
არ განიკითხო მათ შორის
კაცი, არც მანდილოსანი
და ღირსეულათ უცხუნო
მათრახი მწარ კუდოსანი,
გაფანტო როგორც ცხვრის ფარა,
იმითი განამწარები,
რომ შიშით დაბნეულებმა
ველარ მიაგნონ კარები,
შემდეგ იქნება ჰკუაზე
მოვიდენ ყაზილარები...

შემთხვევით დამსწრე






ძაღლმა მოასწრო ბოროტ-მოქმედს გორგიჯანოვის ბაღის კარებშივე დაიჭირა.




დამნაშავემ ჩვეულებრივისამებრ ქრთამი შეაძლია, მაგრამ ძაღლმა არ მიიღო!




ძაღლი შეუდგა საბრალმდებლო ოქმის წერას!




ძაღლმა მიიყვანა პოლიციაში ბოროტ-მოქმედნი ადგილზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვაჟა-ფშაველას.

იცრემლებიან ღრუბლები,
ზაფხულის წასვლას გლოვობენ...
ეძებენ ვარდთა, იათა,
მაგრამ ვეღარა პოვობენ.
**მისივე სიტყვები („ნაკადულის“ № 2, 1910 წ.)**

ღრუბელმა ია მონახა,
იქვე იხილა მან ვარდი
და დაატირა ქვეყანის
ქმუნვა, ვაება და დარდი.
ნამიც აპკურა, ჩაკოცნა
ველი ზურმუხტის, ტყის ბარდი,
გრგვინვით გასძახა კაეშანს:
გასწი, გაგვშორდი, გაქარდი!“
სხვა ყვავილებიც იპოვა,
ეხლა აღარ ვლის ობლათა,
მათაც უკოცნა ბაგენი,
ცრემლით აქცია სობლათა,
გადაიარა ხევები,
ახლა გაეკრა სოფლათა...
იქაც ქვითინებს, დატირის
ცხარე ცრემლებით, ოფლათა...
თვისად იმჩნია გოდება
ძირს დედამიწის, მშობლისა
და იწურება ცრემლებით...
ხმა ჩაწყვედია ბრძოლისა.
მხოლოთ პირველათ დაგრგვინვა
ყიჟინა გვამცნო ომისა...
მარქვი, მგოსანო, მეორეთ
როდის იგრგვინვებს, როდისა?
როდის გაფანტავს ჯანღს ქარი.
მზის სხივი ჩაგვეკონება,
ბედნიერება. სილაღე
ქვეყანას დაემონება?..
შეიფრთხიალებს კვლავ გრძნობა,
გაინავარდებს გონება.
როდის იქნება ხმა მხსნელი
მაშვრალთ ყურს გაეგონება?..

**ვ. მალაქიაშვილი.**



## აგია აღდგომა?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ნამდვილი ამბავი ახლო წარსულიდან)

ლუკა ბერტყაძის ოჯახიც ემზადება სადღესასწაულოთ ისე, როგორც მოელონისკარებ. ლუკას ცოლს, მატრონეს, არ უნდა ჯავრით ბალნები მოკლას, თორემ სადღესასწაულო არც ხასიათი აქვს და არც შეძლება. მისი ქმარი მთავრობის რისხვას ემალება, ოჯახი იანვარში გადაუწვათეს, მის ბარაზე მარტო საცივი (წყარო) დარჩა დაუწვავი. ის ადგილი საცა უწინ კოხტა ოდა იყო, დღეს სახაპეთ არის მონაკელებული. მატრონე შვილების ხათრისთვის მაინც თავს იჭერს—გულმაგრობს. აღდგომაც ისეთი დღესასწაულია, ძველთაგან ისე გვაქვს შესისხლხორცებული, რომ ყველა მხნევდება, ყველა რაღაცას სასიხარულოს მოელის, „ყველას ტუჩზე ღიმი უკრთის“, ყველა პატივების და შენდობის ხასიათზეა. ასეთ საერთო ცხოვრების ფერხულს არც მატრონე ჩამორჩა. დამწვართა დამხმარე კომიტეტისაგან დიდხუთშაბათს მიიღო 7 მან. და 50 კაპ. ამით როგორც იქნა მისი სამი თავ-მონაწიერი შვილები დამოსა, სამი შაურის ყვითელ კოჭიანი პასკა და 2 კაპეიკის ჭიშფერი იყიდა კვერცხის შესაღებავათ. კვერცხი, ღომი, ქათამი და გოჭი შინ მოეხერხება. საჭმელათ ეგეც კმარა, ოღონდ კაცთა მშვიდობა იყოს თორემ.

შაბათი საღამოა. მატრონემ გოჭი შეწვა, ქათამი გაქნა, კვერცხები შეღება და შვილები დაბანა. ბავშვები ძრიელ მხიარულათ არიან, ჩითის ხალათებზე ჯიბე აქვთ დაკერებული და ხვალე კვერცხის ჩადებას ელიან.

— ნენა, ბაბაი არ მოა შინ ნეტაი? კითხულობს ერთი.

— არა, არ მევიდა, და არ წევიდა, ვინცხამ მე იგი არ დამიყენა შინ! რა ვიცი შვილო, იქნება ქე დაგვხედოს ერთი, აღდგომა მოგვილოცოს... ნეტაი არც ქე გაბედავდეს მოსვლას. ოხერია კაცის გული: ქეც მინდა მევიდეს, ქეც მეშინია. ამფერ ცხოვრებასაც რა უთხრა.

— აღდგომას რა უჭირს ნენა რომ მევიდეს ბაბაი შინ, ვინ დეიჭირავს; ახლა რომ ნაჩანიკია, იგი დიდი ნაჩანიკი, მე საყდარში ვნახე, პიჯვარს იწერდა. ქრისტიანი ქრისტიანს აღდგომას რავა დეიჭირავს, სთქვა უფროსმა ვაჟმა, სოფლის სკოლის მოწაფემ.

— თი შვილო, ახლანდელი ქრისტიანობა ყბაის ქცევაა მეტი არფერი, გენერალს რა გიემტყუნება, ქრისტეს მაგიერს რომ არ სწამს ქრისტე. ჩვენი ხუცესი არ იყო, რომ დამწვარი და დაჩაგრული არ გაგვიკითხა და დრამა ფულში ნალიეგან სიმინდი გამოგვიყარა? სადაა შვილო ქრისტიანობა - ჩვენი ქრისტე ჯერ შორსაა.

### II

სოფელი მყუდრო ძილშია. „შუაღამე რომ გადავიდა ასტყდა ზარის რეკა“. ზარის რეკასთან ერთად ქოხის კარებთანაც შეიქნა ბრახუნი.

— კარში არავინ გაბედოს გამოსვლა და გაქცევა, თვარა ღორივით გავაგორებთ—ლამპას უკიდეთ და კარი გააღეთ. იყო ბრძანება.

გაფითრებული მართა წამოდგა. ხელებში კანკალი აუვარდა. ძლივს აანთო კრუჟკის ლამპა. გადაიცვა ტანზე და კარები გა ღო... სახლში წესიერების დამცველნი შემოცვივდენ...

— ბატონო, შენი ჭირიმე კაპიტონ, თქვენ ხომ ჩვენიანი ბრძანდებით, ბალნებს ნუ შემიშინებთ.

— ჩუმათ შენ ქვეყნის ამომგდების ცოლო, ახლა ვარ თქვენიანი, მაშინ რეიზა არ ვიყავი, რომ აფერათ მაგდებდით, სა ბძანდება შენი ქვეყნის გამკეთებელი ბატონკაცი? სა გყავს დამალული ძაღლებსავით დასარჩოში სუყველა?

თქვენის მიზეზით კაცს კაი დღეი ვერ შუუტყვია, ახლა საყ-ტარზე უნდა ვიყო, და მე კი ლუკაისთენა ცხვირ მეუხოცელ ყაზილარს დავსდევ. Обыскать все. დაიყვირა.

ერთგული მოსამსახურეები შეუდგნენ ქოხის აფორიაქებას. ორ ბავშს გაეღვიძა და ტირილი დაიწყეს. საწინააღმდეგო ვერაფერი ნახეს და ვისაც ეძებდენ იმასაც სახლში ვერ მოასწრეს. დაბრუნდნენ უკან.

Ш

გათენდა აღდგომა დილა. ყველა ლხინობს, ყველა მხიარულებაშია. ლუკას ოჯახიდან კი ბავშების მწარე ქვითინი გამოისმის. მატრონეც მათი საცოდავობით იწვის და თვალები ცრემლით ევსება. რა იყო, რა მოუვიდათ? ჯერ კიდევ დილა-ბნელი იყო, რომ მთელი ოჯახი ფეხზე წამოიშალა. ბავშები წითელ კვერცხებს ელოდენ: აღარც წითელი კვერცხები, არც წითელი „პაპუცები", აღარც შემწვარი გოჭი და არც ქათამი! ქოხში გულშემზარავი ზლუქუნი შეიქნა...

ეს ტირილ-გოდება მეზობლებს არ დარჩა შეუნიშნავი. მივიდნენ და ამბავი იკითხეს.

— ქრისტე აღსდგა მატრონე? რა იყო, რა წაეკიდენ?

— რა კაი წაგვეკიდებოდა, ყველაის საჯიჯნი შევიქენით, რაით ჩავაპურო ბალნები, რაით გავახსნილებიო, შემწვარი გოჭი და ყორიფელი სიღარიბით მონაგარი წაუღიათ.

— ვის შე ქალო, მგელი ხომ არ მოგიხტა.

— დიახ, ჰინჭიანი მგელი იყო?

— უი საწყალო, ობისკი იქნებოდა, მადლობა ღმერთს, რომ ცოცხალი ხართ.

— რა უყო მე ძაღლის არჩივმა ახლა ბალნებს, აგია აღდგომაა!?

IV

საათის ათი იქნებოდა, ციხის კარებს მიადგა ურიადნიკი, კაპიტონის ხელქვეითი და ციხის ზედამხედველ დარაჯს ტუსაღებისთვის თავის უფროსის სახელით კალათი გადასცა... დედის სულის მოსახსენებლათ. კალათში იყო ორი შემწვარი გოჭი. ქათმები, პასკები და კვერცხები... წარმოიდგინეთ, ბ-ნ მართლ მორწმუნე კაპიტონის გაკვირვება, როცა ქვეშევრდომმა კალათი უკანვე მოიტანა სავსე, ტუსაღებმა არ მიიღესო.

— მე ვაყურებიებ იგინს სეირს, მამაძაღლები, ციხეშიაც არ იშლიან თავიანთ ბინძურ საქმეს... ბრძანა განრისხებულმა კაპიტონმა.

— ნუ ჯავრობ გენაცვალე, თუ არ უნდეათ, ჭირი მიგვჭამონ, ვინცხას მოათრაქვიე, იგინს დაურიგე და დიდ მადლობასაც გეტყვიან.

— ასლან, წაიღე ეს კალათი პოსტზე და აფხანიკებს დაურიგე, სადილათ ღვინოსაც და ოტკასაც გაუგზავნი.

ავ.ყია.


წლიწადი **1910 წლისათვის** მეორე.

მიიღება ხელის მოწერა

# ყოველ-კვირეულ იუმორისტულ ჟურნალზე




ვინც ამ თავიდან გამოიწერს ჟურნალს და მთელი წლის ფასს შემოიტანს, აგვისტოს პირველ რიცხვებში ჟურნალთან ერთად

# პრემიათ გაეგზავნება ახალი პრებული

ჟურნალი წლიურათ ღირს 5 მ. თვიურათ 50 კ. ცალკე ნომერი 10 კ.

**ფულის გამოსაგზავნი ადრესი**: Тифлисъ, Типографія Т-ва „Шрома, Василію Карамановичу Болквадзе.

# გაუგებრობა



**მემარცხენე:**—ეს ვინა სძევს აქ? აჰა, მესმის... ეს მსხვერპლია ჩვენი კაპიტალისტური წესწყობილებისა, ქუჩაში უღმერთოდ გამოსროლილი... ხა.. ხა! ნაცვლად იმისა, რომ მუშა კაცს რვა საათის სამუშაო დღე მისცენ, მისგან სწოვენ უკანასკნელ წვეთს სისხლისას და შემდეგ უმწეოთ, უნუგეშოთ, მშიერ-მწყურვალს ქუჩაში ისვრიან...: ოოოჰ, როდის, როდის მოწესრიგდება ყოველივე ეს?!

**სიფხიზლის საზოგადო წევრი:**—საზიზღრობაა! გალეშილა, როგორც ღორი და ეხლა გდია ცივს კიბეზე უმწეოთ და უნუგეშოთ. როდის, ნეტა როდის მოვესწრობით იმ ბედნიერ დროს, როცა ალკოგოლი, ეს უდიდესი საწამლავი კაცობრიობისა, მოისპობა?!

**ღვთის მაძიებელი:**—ეს ვინა სძევს იქ ცივს კიბეზედა? აჰააა ეს არის მოყვასი ჩემი, რომელმაც ვერა ჰპოვა ღმერთი თვისი და უძლურებაში მყოფი მოვიდა ცივს ქვასთან პასუხისათვის. არა ისვენებს ის, არამედ მწვავეთ და უხმოთ ფიქრობს, რათა შეიგნოს თავისი „მე"-ს ღვთაებრივი არსებობა. ოჰო, ჰოო.



**ინტელიგენტი:**—ნუ თუ ეს მიცვალებულია?! ოჰ, რა საშიშრებააა! ოჰ, ულმობელი ჩვენი რეჟიმი!

**ბიუროკრატი:**—აი დახედეთ! კიდევ ამბობენ, ჩვენი ხალხი ღარიბიაო... კარგი ღარიბია სწორეთ, როცა არაყისათვის ყოველთვის მზათა აქვს ფულები, ერთი შეხედეთ, როგორ ბურჟუასავით გაჭიმულა!

**მღებავი:**— არაფერია ბ-ნო, პალტო დავდევი მუშაობის დროს... ახლა აცივდა... ავიღებ!..